შეტყობინება

,,ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის- ა(ა)იპ ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაციის" (ს/ნ 404574475) წევრთა ყოველწლიური საერთო კრების მოწვევის თაობაზე

ქ. თბილისი **13.12.2024 წელი**

გაცნობებთ, რომ **2024 წლის 30 დეკემბერს ქ. თბილისში, ივანე თარხნიშვილის ქუჩა N17-ში (ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაციის ოფისი) 12:00 საათზე** ჩატარდება ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის - ა(ა)იპ ,,ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაციის'' (შემდგომში - ,,ასოციაცია" ს/ნ 404574475) წევრთა საერთო კრება (შემდგომში - ,,საერთო კრება").

ასოციაციის წევრთა საერთო კრება მოიწვევა ასოციაციის წევრებისათვის, წინამდებარე შეტყობინების ელექტრონულ მეილზე ან/და მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის გზით, ასევე შეტყობინება განთავსებულ იქნება პერიოდულ ბეჭდურ გამოცემაში და ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაციის - IPOA-ს ოფიციალურ ვებგვერდზე: www.ipoa.ge

ასოციაციის წევრთა საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვს ასოციაციის ყველა წევრს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან მონაწილეობა მიიღონ საერთო კრებაში, როგორც პირდად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით. წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობის მიღების შემთხვევაში, წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (მინდობილობა/რწმუნებულება) გაცემული უნდა იყოს კონკრეტულად ჩასატარებელი საერთო კრებისათვის.

საერთო კრების ჩატარების წესი:

საერთო კრება ჩატარდება წინამდებარე შეტყობინებაში მითითებულ დღესა და დროს. წევრთა საერთო კრების სხდომაზე ასოციაციის წევრები ხმათა უმრავლესობით ირჩევენ კრების თავმჯდომარეს და მდივანს, რომლებიც სხდომის დასრულების შემდეგ ხელს აწერენ საერთო კრების სხდომის ოქმს. იმ შემთხვევაში თუკი ასოციაციის წევრს არ შეუძლია ადგილზე დაესწროს კრებას, ასოციაცია ასეთი წევრის საერთო კრებაზე დასწრებას ან/და ხმის უფლებას უზრუნველყოფს ელექტრონული ან სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.

ასოციაციის საერთო კრება უფლებამოსილია და კვორუმი შემდგარია თუ მას ესწრება ასოციაციის წევრთა ან მათ წარმომადგენლებთა 1/3 (ერთი მესამედი). საერთო კრებაზე გადაწყვეტილება მიიღება

ხმათა უბრალო უმრავლესობით, გარდა ასოციაციის წესდების 7.8.6 და 7.8.8 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საერთო კრების ჩატარების ფორმა:

ასოციაციის წევრთა საერთო კრება ჩატარდება კომბინირებული (შერეული) ფორმით, რაც გულისხმობს იმას, რომ ასოციაციის წევრებს შეუძლიათ კრებაში მონაწილეობა მიიღონ წინამდებარე შეტყობინებაში მითითებულ მისამართზე, მითითებულ დღესა და საათზე ერთობლივი გამოცხადებით, ხოლო ასეთი შესაძლებლობის ან/და სურვილის არარსებობის შემთხვევაში დისტანციურად, ელექტრონული ან სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, რომელიც ასოციაციის წევრებს საშუალებას მისცემს, მონაწილეობა მიიღონ კენჭისყრაში დღის წესიგით განსაზღვრულ საკითხებზე, რეალური დროის რეჟიმში, ან დაუსწრებელი კენჭისყრით, გაცვლის გზით, საფოსტო, სატელეფონო, ელექტრონული ან კავშირგაბმულობის სხვა საშუალებით, რომელიც უზრუნველყოფს გადაცემული და მიღებული შეტყობინებების აუთენტურობას და მათ დოკუმენტურად დადასტურებას.

იმ შემთხვევაში, თუკი ასოციაციის წევრს არ აქვს შესაძლებლობა, საერთო კრებაში მონაწილეობა მიიღოს იმ ფორმატით, რა ფორმატითაც მითითებულია წინამდებარე შეტყობინებაში, ამის შესახებ მან ასოციაციის გამგეობას უნდა აცნობოს საერთო კრების ჩატარებამდე, არაუგვიანეს 14 (თოთხმეტი) დღით ადრე. ასეთ შემთხვევაში ასოციაცია ასეთ წევრს გაუგზავნის დოკუმენტებს ან/და შესაბამის ბმულს, რომლითაც მას დაუსწრებელი კენჭისყრის საშუალება მიეცემა საერთო კრების ჩატარების დღეს.

საერთო კრებაზე ხმის მიცემის წესი:

საერთო კრებაზე ხმის მიცემა განხორციელდება ღია კენჭისყრის პრინციპით. დღის წესრიგით განსაზღვრულ თითოეულ საკითხს, კენჭი ეყრება ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. ასოციაციის წევრთა საერთო კრებაზე დამსწრე ყველა წევრი, უფლებამოსილია მხარი დაუჭიროს ან უარყოს დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხს. ხმის მიცემა ასევე ხორციელდება ელექტრონული მოწყობილობების საშუალებით, წევრებისთვის ელექტრონულად გაგზავნილი ბმულის მეშვეობით.

საერთო კრების დღის წესრიგი:

- **ა(ა)იპ ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია - ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაციის წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ;**

- **ხელმძღვანელი პირების ინდივიდუალური ანგარიშების წარდგენის შესახებ;**
- **ასოციაციის გამგეობის წევრის არჩევის (ჩანაცვლება) შესახებ;**
- **სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენის თაობაზე;**

ასოციაციის საერთო კრების შესახებ მომზადდება საერთო კრების ოქმი, რომელშიც აისახება:

- თარიღი, როდემდეც მიიღებოდა დოკუმენტები კენჭისყრის მონაცემებით;
- კენჭისყრაში მონაწილე პირების შესახებ ინფორმაცია;
- კენჭისყრის შედეგები, დღის წესრიგით განსაზღვრულ თითოეულ საკითხთან დაკავშირებით;
- მონაცემები იმ პირების შესახებ, რომელბიც ახორციელებენ ხმების დათვლას;
- მონაცემები იმ პირების შესახებ, რომლებმაც ხელი მოაწერეს სხდომის ოქმს;

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი

გიორგი ნიკოლაიშვილი